ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2981021

ნომერი: AR1454854

თარიღი : 08.11.2016

გაცემის თარიღი : 06.12.2016

გაცნობის თარიღი : 12.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ტექნიკური უნივერსიტეტის შახტა-ლაბორატორიის შესასვლელის მიმდებარედ, (23/2) / ქალაქი თბილისი , ტექნიკური უნივერსიტეტის შახტა-ლაბორატორიის მიმდებარედ (ნაკვეთი 23/003);

დამკვეთი-განმცხადებელი
- თინათინ კიკვიძე პ/ნ 60001016540
- თბილისი,გორკის შესახვევი 3

ორგანიზაცია:
- შპს ვ.დ. კაპიტალი კოდი: 205046010

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1454854 განცხადებაზე №2947223 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად : მუხლი 37, პუნქტი 1 – მიწის ნაკვეთი შეიძლება შემოიღობოს არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან, ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მეტრს.

თქვენს შემთხვევაში, შესასვლელი ღიობის მარჯვენა მხარეს ირღვევა ზემოაღნიშნული პარამეტრები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს „.კორექტირებული ფოტომონტაჟი“-ს ველში ატვირთული პირველი ფოტომონტაჟი(დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით)და აიტვირთოს მხოლოდ I ფოტომონტაჟი შესაბამის ველში.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.